საქართველო-თბილისი: ევროპის საინვესტიციო ბანკი - საქართველო - წყლის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის პროექტი

საქართველო, თბილისი: საკონსულტაციო მომსახურებების თაობაზე ინტერესის გამოხატვა ქუთაისის წყალარინების პროექტისათვის

საქართველო

ქუთაისის წყალარინების პროექტის სარეაბილიტაციო სამუშაოების რედიზაინი და ზედამხედველობა

N: EIB/KUTAISI/CS/QCBS/01

ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების ლინკი:

http://ted.europa.eu/udl?uri=TED:NOTICE:52296-2018:TEXT:EN:HTML

1. სახელმწიფო დამკვეთის სახელი, მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი:

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
გიორგი კობერიძე, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი
თბილისი, საქართველო, ვაჟა-ფშაველას გამზირი 76ბ, 0186
Tel: + 995 32 291 90 60, Fax: +995 32 222 00 36, E-mail: info@water.gov.ge

2. პროცედურა

შეზღუდული საერთაშორისო ტენდერი.

3. ტიპი: ცნობა ინტერესის გამოხატვის თაობაზე

კომპანიებმა მათი ინტერესის გამოსახატავად უნდა დაიცვან წინამდებარე შეტყობინებაში მოცემული დებულებები. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია შეარჩევს ყველა იმ აპლიკაციას, რომლებიც დააკმაყოფილებს მე-7, მე-8 , 10.1 და 10.2 პუნქტებში მოცემულ კრიტერიუმებს.

4. ინტერესის გამოხატვის შესაბამისი კვალიფიკაციისა და მომსახურებების აღწერა:

საქართველომ (შემდგომში „მსესხებელი“) მიიღო სესხი ევროპის საინვესტიციო ბანკისაგან (შემდგომში „ბანკი) ქუთაისის წყალარინების პროქტის დასაფინანსებლად. წინამდებარე საერთაშორისო გამოცხადება ინტერესის გამოხატვის თაობაზე ეხება ქუთაისში კანალიზაციის სისტემისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის რედიზაინსა და ზედამხედველობის მომსახურების კონტრაქტს.

დავალება შედგება ორი ეტაპისაგან:

(i) პირველი ეტაპი გულისხმობს პროექტებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას სამი (3) სამშენებლო კონტრაქტისათვის (წითელი FIDIC), რომლებიც ეხება ქუთაისის სანიტარული კანალიზაციის სისტემის (დაახლოებით 360კმ-იანი რეაბილიტირებული და/ან ახალი მაგისტრალური და მეორეული ან მესამეული კანალიზაციის მილები, სანიაღვრე წყლების სისტემისაგან განცალკევების ჩათვლით) რეაბილიტაციასა და გაფართოვებას; და ერთი (1) დააპროექტე-ააშენე (design-build, ყვითელი FIDIC) კონტრაქტისათვის, რომელიც ეხება ახალი წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას ქუთაისში (210,000 PE) არსებული ნაგებობის (რომელიც არ ფუნქციონირებს) დემონტაჟით.

(ii) მეორე ეტაპი მიმართულია ზემოხსენებული საპროექტო კომპონენტების ყოველდღიური სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობისაკენ, რაც თანადაფინანსებულია ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ. ზედამხედველობა უნდა წარმოებდეს FIDIC-ის წესების მიხედვით. პროექტის სრული ღირებულება პრომოუტერის მიერ შეფასებულია 280 მლნ ევროდ, საიდანაც ქუთაისის კომპონენტების ღირებულება შეადგენს 100 მლნ ევროს. სხვა კომპონენტები დაფინანსებულია აზიის განვითარების ბანკის მიერ და არ წარმოადგენს წინამდებარე ინტერესის გამოხატვის საგანს. პროექტის ფინანსური სტრუქტურა შემდეგია:

დაფინანსება მლნ ევრო		**სრული საინვესტიციო ხარჯი მლნ ევრო**
ევროპის საინვესტიციო ბანკის სესხი	100 მლნ კანალიზაციის სისტემა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობა ქუთაისში	**280**
აზიის განვითარების ბანკის ტრანში 2	**172 მლნ** წყალმომარაგების სისტემა ქუთაისში, წყალარინებისა და სანიტარიის ზომები ქუთაისის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებში	
სამეზობლო საინვესტიციო მექანიზმი (NIF)	**4.75 მლნ** წყალარინების გამწმენდი ნაგებობა ქუთაისი	
აღმოსავლეთის პარტნიორობის ტექნიკური დახმარების ნდობის ფონდი (EPTATF)	**3.25 მლნ** მომსახურების კონტრაქტის დაფინანსების წვლილი	

დაფინანსება მლნ ევრო:
ევროპის საინვესტიციო ბანკის სესხი:100 მლნ კანალიზაციის სისტემა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობა ქუთაისში ;
აზიის განვითარების ბანკის ტრანში 2: 172 მლნ წყალმომარაგების სისტემა ქუთაისში, წყალარინებისა და სანიტარიის ზომები ქუთაისის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებში;
სამეზობლო საინვესტიციო მექანიზმი (NIF): 4.75 მლნ წყალარინების გამწმენდი ნაგებობა ქუთაისი
აღმოსავლეთის პარტნიორობის ტექნიკური დახმარების ნდობის ფონდი (EPTATF): 3.25 მლნ მომსახურების კონტრაქტის დაფინანსების წვლილი

წინამდებარე დავალებაში წარმოდგენილი კონკრეტული მიზნებია:

- წყალარინების ქსელისა და მთავარი კოლექტორების პროექტირება EN 752, 1610, 476 და შესაბამისი EN და ქართულ სტანდარტებთან (სანიტარული კოლექტორების და მილები) სრული შესაბამისობით ;
- ქუთაისის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება დამკვეთის მოთხოვნებისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტის ესკიზის შესაბამისად;
- თანმიმდევრული და ლოგიკური სატენდერო დოსიები ევროპის საინვესტიციო ბანკისა და ევროკავშირის შესყიდვების წესების საფუძველზე;
- საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დახმარება მშენებლობის კონტრაქტების წინასაკვალიფიკაციო და ტენდერის შეფასებაში;
- მშენებლობის მაღალი ხარისხი (მუდმივი სამუშაოები) საერთაშორისო და საქართველოს სტანდარტების, არსებული საუკეთესო ტექნოლოგიისა (BAT) და საუკეთესო საინჟინრო პრაქტიკის (BEP) დაცვით;
- მშენებლობის კონტრაქტის ფარგლებში კონტრაქტორების მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი პროექტის შემოწმება მოთხოვნილ სტანდარტებთან, BAT & BEP შესაბამისობაზე;
- სამუშაოების დასრულება დამტკიცებული გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის შესაბამისად;
- დამკვეთის პრეტენზიების მომზადება;
- მაღალი ხარისხის საზედამხედველო მომსახურებების გაწევა;
- სახელმწიფო დამკვეთის დახმარება კონტრაქტორებისათვის დროულად და სამართლიანად გადახდაში;
- სახელმწიფო დამკვეთის დამხარება ნებისმიერი პრეტენზიების წამოჭრის დროს;
- სახელმძღვანელოების მომზადება, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგებისათვის ტექნიკური დახმარებისა და მხარდაჭერის აღმოჩენა; და

- ანგარიშების მომზადება;

კონსულტანტს უნდა ჰყავს ძლიერი და გამოცდილი პროფესიონალების გუნდი, სადაც შედის, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი: FIDIC ინჟინრები, ინჟინერ-მექანიკოსი, ელექტრო და SCADA ინჟინერი, გეოტექნიკის ინჟინრები.

კონსულტანტი კარგად უნდა იცნობდეს პროექტირებისა და მშენებლობის ადგილობრივ კანონმდებლობას. რეკომენდირებულია, რომ კონსულტანტის გუნდში იყოს ექსპერტები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება საქართველოში ან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ); და ექსპერტები, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ ადგილობრივი ლიცენზიები და ნებართვები საზედამხედველო მომსახურებებისათვის (საჭიროების შემთხვევაში) და შეუძლიათ კომუნიკაცია ადგილობრივ ენაზე (ქართული ან რუსული).
კონსულტანტმა უნდა გაითვალისწინოს მშენებლობის აქტივობების პიკური პერიოდები და უნდა უზრუნველყოს ასეთ პერიოდებში პერსონალის სათანადო დონე.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს, რათა გამოხატონ თავიანთი ინტერესი ზემოხსენებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მათი აპლიკაცია, რათა აჩვენონ, რომ ისინი ზემოხსენებული მომსახურებისათვის კლავიფიცირებულნი არიან. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს სტანდარტულ ფორმებში, რომლებიც ხელმისაწვდომია საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან მოთხოვნის საფუძველზე. საკონტაქტო პირები: ნინო გვენეტაძე - ელექტრონული ფოსტის მისამართი: n.gvenetadze@water.gov.ge და გიორგი დარსაძე - ელექტრონული ფოსტის მისამართი: g.darsadze@water.gov.ge

მონაწილეებს განმარტების მოთხოვნით მიმართვა შეუძლიათ წინადადებების წარდგენის ბოლო ვადამდე არაუგვიანეს 15 კალენდარული დღით ადრე, რასთან დაკავშირებითაც პასუხები გაეცემათ არაუგვიანეს 7 კალენდარული დღით ადრე წინადადებების წარდგენის ბოლო თარიღამდე. განმარტებები გაეგზავნება ყველა კომპანიას, რომელმაც გამოხატა ინტერესი წინადადების წარდგენასთან დაკავშირებით.

კონსულტანტები შეირჩევა საკონსულტაციო მომსახურების შეზღუდული პროცედურების შესაბამისად, რაც წარმოდგენილია ევროპის საინვესტიციო ბანკის ინსტრუქციებში: შესყიდვის სახელმძღვანელო, 2011 წლის ივნისი. შერჩეულ კონსულტანტთა რაოდენობა იქნება 5-8 კანდიდატი.

მონაწილეობის ფორმის მიუხედავად (ინდივიდუალური იურიდიული პირი ან კონსორციუმის ხელმძღვანელი ან წევრი) იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ერთი აპლიკაცია. იმ შემთხვევაში, თუ იურიდიულმა პირმა წარმოადგინა ერთზე მეტი აპლიკაცია, ყველა აპლიკაცია, რომელიც ასეთმა პირმა წარმოდგინა, გამორიცხული იქნება.

არ არის შეზღუდვები მონაწილეობასთან დაკავშირებით; ტენდერში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია ყველა ფირმა. EIB არ უზრუნველყოფს დაფინანსებას, პირდაპირ თუ ირიბად, ან EIB- ის პროექტის ფარგლებში ხელშეკრულების დადებას, ან შევიდეს ნებისმიერ ურთიერთობაში, ინდივიდთან ან იურიდიულ პირთან, რომელიც ექვემდებარება ევროკავშირის მიერ დაკისრებულ ფინანსურ სანქციებს ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-5 თავის, მე-2 ნაწილის ან ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 215-ე მუხლის თანახმად, ასევე გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ განსაზღვრულ ფინანსურ სანქციებს გაერო-ს წესდების 41-ე მუხლის საფუძველზე.

5. მომსახურების ადგილი და ხანგრძლივობა:

ხელშეკრულების შესრულების პერიოდი იქნება 72 თვე: 12 თვე არის დავალება N 1- რედიზიანი და 60 თვე არის დავალება N 2 - სამშენებლო ზედამხედველობა (მშენებლობის სამუშაოების 48-თვიანი ზედამხედველობა და 12 თვე დეფექტის პასუხისმგებლობის ვადისათვის).

დავალებისთვის ხელმისაწვდომი მაქსიმალური ბიუჯეტი დღგ-ს გარეშე 7,020 500 ევროს შეადგენს.

6. აპლიკაციების ჩაბარების, გაგზავნისა და წარმოდგენის პროცედურები, მე-8 პუნქტში ნახსენები ყველა ინფორმაციის, ფორმალობისა და დოკუმენტაციის ჩათვლით:

ინტერესის გამოხატვაში მოცემული უნდა იყოს წინამდებარე ცნობის კოდი და მე-8 პუნქტში მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია. კანდიდატებს შეუძლიათ აირჩიონ მათი ინტერესის გამოხატვის აპლიკაციების ჩაბარების გზა:

1) ფოსტით (კურიერი ან რეგისტრირებული ფოსტა) ჩაბარების თარიღია არა უგვიანეს 2018 წლის 9 მარტი (17:00 ადგილობრივი დროით) 1-ლ პუნქტში მითითებულ მისამართზე;
ან
2) აპლიკაციის ხელით ჩაბარება 1-ლ პუნქტში მითითებული დეპარტემენტის სამდივნოში (უშუალოდ აპლიკანტის ან მისი წარმომადგენლის მიერ) არა უგვიანეს 2018 წლის 9 მარტი (17:00 ადგილობრივი დროით). ინტერესის გამოხატვის ჩაბარება მოხდება 1-ლ პუნქტში მოხსენიებული დეპარტემენტის წარმომადგენლის მიერ მიღების ხელწერილის საფუძველზე, რომელიც იბარებს დოკუმენტაციას;
ან
3) შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნა: n.gvenetadze@water.gov.ge და/ან g.darsadze@water.gov.ge არა უგვიანეს 2018 წლის 9 მარტისა (17:00 ადგილობრივი დროით).

ფოსტით ან ხელით ჩაბარების შემთხვევაში კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს ინტერესის გამოხატვის ერთი დედანი და ერთი ასლი, რომელიც დალუქული იქნება კონვერტში და კონვერტზე იქნება შემდეგი წარწერა:

- კანდიდატის სახელი და მისამართი;
- წინამდებარე ცნობის სახელი და კოდი;
- საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მისამართი;

კანდიდატებს შეუძლიათ შეცვალონ ან გამოითხოვონ მათი აპლიკაცია წერილობითი შეტყობინებით ინტერესთა გამოხატვის აპლიკაციის ჩაბარების ბოლო დღემდე. ჩაბარების ბოლო დღის გასვლის შემდეგ არც ერთი აპლიკაცია არ შეიცვლება.
შერჩევის პროცედურისა და კონტრაქტის ყველა წერილობითი კომუნიკაცია უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

7. **ქვე-სიაში (სიებში) მოხვედრის კრიტერიუმები**:
7.1 **გარიცხვის კრიტერიუმები:**

კანდიდატები კონტრაქტში მონაწილეობისაგან დისკვალიფიცირებული იქნებიან, თუ:

(ა) ისინი არიან ბანკროტი ან მათი ბიზნესი ლიკვიდირებულია, თუ მათი საქმეები რეგულირდება სასამართლოთი ან მათ აქვთ ხელშეკრულება კრედიტორებთან, თუ მათ აქვთ შეჩერებული ბიზნეს საქმიანობა, თუ ეროვნული კანონებისა და რეგულაციების შედეგად ისინი ჩართულნი არიან ასეთი ხასიათის პროცედურებში ან მსგავს სიტუაციაში;
(ბ) თუ ისინი ცნობილნი არიან დამნაშავედ ისეთი დანაშაულისათვის, რაც ეხება მათ პროფესიულ საქმიანობას, ისეთი გადაწყვეტილებით, რომელსაც აქვს გადაწყვეტილი საქმის (res judicata) ძალა;
(გ) ისინი ცნობილნი არიან დამნაშავედ პროფესიული საქმიანობის ცუდი წარმართვისათვის (რაც დამტკიცებულია სახელმწიფო დამკვეთის მხრიდან გამართლებული გზებით)

(დ) მათ არ შეასრულეს ვალდებულება და არ გადაიხადეს სოციალური დაცვის და სხვა გადასახადები მათი საცხოვრებელი ქვეყნის ან სახელმწიფო დამკვეთის ქვეყნის ან იმ ქვეყნის, სადაც კონტრაქტი უნდა განხორციელდეს, კანონის შესაბამისად;
(ე) მათ შესახებ იქნა გადაწყვეტილი საქმის (res judicata) ძალის მქონე გადაწყვეტილება გამოტანილი კორუფციისათვის, გაყალბებისათვის, კრიმინალურ ორგანიზაციებთან ჩართულობისათვის ან სხვა არაკანონიერი საქმიანობისათვის, რაც კავშირის ფინანსური ინტერესებისათვის საზარალოა.
(ვ) ისინი გამოცხადებულები არიან, როგორც კონტრაქტის სერიოზული დამრღვევები, რადგანა მათ ვერ შეძლეს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება სხვა შესყიდვის პროცედურის ან გრანტის გადაცემის პროცედურის შემდეგ, რაც დაფინანსებულია კავშირის ბიუჯეტით.

EIB- ის ეთიკური ქცევის მოთხოვნებისთვის იხილეთ EIB გზამკვლევი შესყიდვებისთვის, პუნქტები 1.4 და 3.6. (ხელმისაწვდომია EIB- ის ვებგვერდზე).

7.2 **წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

კონსულტანტისაგან მოთხოვნილი მინიმალური ეკონომიკური და ტექნიკური სტანდარტების შესაფასებლად საჭირო ინფორმაცია, ფორმალობები და დოკუმენტები:

- კანდიდატის დეტალები: კორპორაციის სახელი, იურიდიული სტატუსი, მისამართლი, ტელეფონისა და ფაქსისი ნომრები, ელექტრონული ფოსტის მისამართი, დ.ღ.გ.-ს ნომერი, საკონტაქტო პირი (თუ წარმოდგენილია ჯგუფი, ჯგუფის თითოეული წევრი ნათლად უნდა იყოს გამიჯნული). გარდა ამისა, თუ შემოტანილია ჯგუფური წინადადება (ერთობლივი საწარმოს ან ქვე-კონტრაქტორის სახით), ზემოხსენებული დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ფირმების ჯგუფის თითოეული წევრისათვის და დასახელებული უნდა იყოს წამყვანი კომპანიის სახელი. ქვე-კონტრაქტირება დასაშვებია **საკონტრაქტო ღირებულების დაახლოებით 30%-სათვის.** (ქვე-კონსულტანტების გამოცდილება გათვალისწინებული იქნება კონსულტანტის სამუშაო გამოცდილების შეფასებისას);
- კომპანიის თანამშრომლების რიცხვი (ან კომპანიების ჯგუფის თითოეული წევრი კომპანიის თანამშრომლების რიცხვი)
- ბოლო სამი ფინანსური წლის საკონსულტაციო მომსახურებების საერთო ბრუნვის ანგარიში;
- ბოლო 5 წელში შესრულებული პროექტების სია, რომელშიც შედის (ა) დიდი მასშტაბის წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურული პროექტების პროექტირება და რედიზაინი; (ბ) კანალიზაციის სისტემებისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშოების მშენებლობის მართვა და ზედამხედველობა; (გ) საქართველოში ან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებში პროექტირება, სამშენებლო კონტრაქტების მართვა და ზედამხედველობა. კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ 15-მდე პროექტი.

8. **დაინტერესებული კანდიდატების მიერ სხვა წარმოსადგენი დოკუმენტი:**
ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ კანდიდატები არ იმყოფებიან 7.1 პუნქტში აღწერილ მდგომარეობაში.
9. **დამატებითი ინფორმაცია:**
დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ წინამდებარე ცნობის მიზანი: კანდიდატთა სიის შედგენა, რომლთა მოწვევაც მოხდება კონკრეტული სატენდერო წინადადების წარმოდგენაზე და მხოლოდ ამ პროცედურას კონტრაქტის დადებამდე არ მივყავართ.

10. **შერჩევისა და კონტრაქტის დადების კრიტერიუმები:**
10.1 **შერჩევის კრიტერიუმები**
წინამდებარე შერჩევის კრიტერიუმები ვრცელდება ყველა კანდიდატზე. ერთობლივი საწარმოს მიერ წარმოდგენილი აპლიკაციის შემთხვევაში ერთობლივი საწარმოს ყველა წევრმა კოლექტიურად უნდა

დააკმაყოფილოს პროფესიული, ფინანსური და ტექნიკური საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, რისთვისაც თითოეული პარტნიორის შესაფერისი ქულები დაჯამდება და მიიღება კონსორციუმის სრული შესაძლებლობა, ხოლო წამყვანმა კომპანიამ უნდა დააკმაყოფილოს ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობის საკვალიფიკაციო კრიტერიუმების არანაკლებ 50 პროცენტი.

ა) კანდიდატის ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობა:

- ბოლო სამი ფინანსური წლისათვის (2014, 2015 და 2016) კანდიდატის საშუალო წრიული ბრუნვა უნდა იყოს 7, 000 , 000 (შვიდი მილიონი) ევროზე მეტი.
- ბოლო სამი წყლის განმავლობაში (2014, 2015 და 2016) პოზიტიური ფინანსური შედეგი.

ბ) კანდიდატის პროფესიული შესაძლებლობა:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში (2014, 2015 და 2016) სულ მცირე 20 მუდმივი თანამშრომელი, რომლებიც მუშაობს კანდიდატთან წინამდებარე კონტრაქტის შესაბამის სფეროებში;
- კანდიდატს უნდა გააჩნდეს ადამიანური რესურსის მარაგი (თავისი გუნდის გარდა), რათა ჩაატაროს სატენდერო და საზედამხედველო სამუშაო.
- კანდიდატმა თავის აპლიკაციაში უნდა წარმოადგინოს კომპანიის სტრუქტურა და კომპანიის აღწერა.

გ) კანდიდატის ტექნიკური შესაძლებლობა:

- კანდიდატს წარმატებულად შესრულებული აქვს სულ მცირე 3 დეტალური პროექტი, 3 სატენდერო დოკუმენტაცია და 2 მშენებლობის ზედამხედველობის საკონსულტაციო კონტრაქტი ბოლო 5 წლის განმავლობაში წინამდებარე აპლიკაციის ჩაბარების ბოლო თარიღამდე (2013 წლიდან 2017 წლამდე);

მომდევნო ქვე-კრიტერიუმები დაკმაყოფილებული უნდა იყოს ან ერთი პროექტით ან ცალკე პროექტებით თითოეული ქვე-კრიტერიუმისათვის ცალ-ცალკე:

- პროექტი წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტისა და კანალიზაციის ქსელის მშენებლობისათვის მინიმალური ღირებულებით 2,500,000 (ორი მილიონ ხუთაისი ათასი) ევრო ერთ პროექტში (კანდიდატის მიერ შესრულებული პორცია ზუსტი ღირებულების მითითებით);
- მშენებლობის ზედამხედველობა წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტისა და კანალიზაციის ქსელის მშენებლობისათვის მინიმალური ღირებულებით 4,000,000 (ოთხი მილიონ) ევრო ერთ პროექტში (კანდიდატის მიერ შესრულებული პორცია ზუსტი ღირებულების მითითებით);
- მშენებლობის ზედამხედველობა ნებისმიერი ტიპის მშენებლობისათვის, რაც რეგულირდება FIDIC კონტრაქტის პირობებით;

10.2 კონტრაქტის დადების კრიტერიუმები
ეკონომიურად ყველაზე უპირატესი კონკურსი
შერჩევა:
მიღებული აპლიკაციების საფუძველზე სულ მცირე 5 და არაუმეტეს 8 კანდიდატი იქნება მოწვეული წინამდებარე კონტრაქტისათვის დეტალური ტენდერების წარსადგენად. თუ უფლებამოსილი კანდიდატების რიცხვი, რომლებიც აკმაყოფილებენ შერჩევის კრიტერიუმებს, არის 5-ზე ნაკლები, პრომოუტერმა შეიძლება მოიწვიოს კანდიდატები, რომლებიც აკმაყოფილებენ ტენდერის წარმოდგენის კრიტერიუმებს.

თუ 8-ზე მეტი უფლებამოსილი კანდიდატი აკმაყოფილებს ზემოხსენებულ შერჩევის კრიტერიუმებს, მათი აპლიკაციების ძლიერი და სუსტი მხარეები ხელახლა შემოწმდება, რათა დადგინდეს 8 საუკეთესო აპლიკაცია ტენდერის პროცედურისათვის.
ერთადერთი ფაქტორი, რაც გათვალისწინებული იქნება ხელახალი შემოწმების დროს, შემდეგია:

- პროექტების (მოცემული ევროებში) შესრულებული მომსახურების კონტრაქტების (კანდიდატის მიერ შესრულებული პორცია) კუმულაციური საკონტრაქტო ღირებულების მნიშვნელობა, რომელიც აკმაყოფილებს ტექნიკური შესაძლებლობის კრიტერიუმს 10.1. გ-ს.